პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б)
Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი, 8 სექტემბერი, 1944 წ. № 182 (7135). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ზახაროვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 6 სექტემბერს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე ოსტროლენკა — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ნარევზე.

ქალაქ და ციხე-სიმაგრე ოსტროლენკის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გორბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ გრიშინის, გენერალ-მაიორ ჩუვაკოვის, გენერალ-მაიორ ურბანოვიჩის, გენერალ-მაიორ ტერენტიევის, გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ აბილოვის, გენერალ-მაიორ კუბასოვის, პოლკოვნიკ ბრეკოვის, გენერალ-მაიორ სპიცის, პოლკოვნიკ ვერიოვკინის, პოლკოვნიკ კონოვალოვის, გენერალ-მაიორ კირილოვის, პოლკოვნიკ ტარასოვის, პოლკოვნიკ მიხალიცინის, გენერალ-მაიორ ნიკიტინის, გენერალ-მაიორ ვასპარიანის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სოკოლსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის, პოლკოვნიკ დერგაჩის, პოლკოვნიკ მიხნოს, პოლკოვნიკ მალოფეევის, პოლკოვნიკ როშჩინის, პოლკოვნიკ კორიტკოს არტილერისტებმა; პოლკოვნიკ აპარინის, პოლკოვნიკ რასკაზოვის, პოლკოვნიკ დაგილისის, პოდპოლკოვნიკ ზირკას ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვერშინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ გეტმანის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ოსიპენკოს, პოლკოვნიკ სმოლოვიკის, პოდპოლკოვნიკ კაზაჩენკოს, მაიორ ბერშანსკაიას მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შილინის, პოლკოვნიკ შიტიკოვის, პოლკოვნიკ არციშევსკის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ მიშინის, პოლკოვნიკ ხილჩენკოს, კაპიტან ნირკოვის, კაპიტან ზაიჩკოს, კაპიტან ბორისოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და ციხე-სიმაგრე ოსტროლენკის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ოსტროლენკის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 6 სექტემბერს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე ოსტროლენკა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ოსტროლენკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 6 სექტემბერი.

სოხუმი

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამხედრო კომისარს პოდპოლკოვნიკ ქინქლაძეს
აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსს კაპიტან შუბლაძეს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების ოფიცერთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას, აფხაზეთის საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა მებრძოლებს და ფრონტელი ოფიცრების ოჯახებს, რომლებმაც შეაგროვეს 39.583 მანეთი ფულად და სახელმწიფო სესხების 997.450 მანეთის ობლიგაციები სატანკო კოლონა „ბოეც ვსეობუჩას" ასაგებად.

ი. სტალინი

სამტრედია—საქართველოს სს რესპუბლიკა

სამტრედიის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ამხ. ქაჯაიას
ასლი სამტრედიის რაიონული პოლიკლინიკის დირექტორს რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ამხ. ჯაშს
ასლი ამიერ-კავკასიის რკინიგზის მე-2 საექიმო უბნის უფროსს ექიმს ამხ. გოგოტიშვილს
ასლი მე-2 საექიმო უბნის პარტორგანიზაციის მდივანს ექიმს ამხ. თევზაძეს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა სამტრედიის რაიონისა და რკინიგზის კვანძის მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს 95 ათასი მანეთი თვითმფრინავების ესკადრილიის „საქართველოს მედიკის" ასაგებად.

ი. სტალინი

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის აულების გადარქმევისა და სასოფლო საბჭოებისა და სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ

1. შეეცვალოს სახელწოდება საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის შემდეგ აულებს და ეწოდოს:

ა) აულ ზემო ტებერდას—სოფელი ტებერდა

ბ) აულ ქვემო ტებერდას—სოფელი მზისა

გ) აულ კამენომოსტს — სოფელი ახალშენი

დ) აულ უჩკულანს—სოფელი მადნისხევი

ე) აულ კარჯურტს—სოფელი მთისძირი

ვ) აულ ხურზუკს—სოფელი ზედვაკე.

2. გაერთიანდეს ხუტორები: ლასტოჩკა, მელნიჩნაია. ბონია, ტებერდა პირველი, ტებერდა მეორე და ტებერდა მესამე ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ხიდისკარი.

3. შეიქმნას ქლუხორის რაიონის შემდეგი სასოფლო საბჭოები:

ა) ტებერდის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ტებერდაში

ბ) მზისის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მზისაში

გ) ახალშენის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ახალშენში

დ) მადნისხევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მადნისხევში.

4. კურორტი ტებერდა გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად) და შეიქმნას დაბა ტებერდაში სადაბო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
წალკის რაიონის სოფელ მოლოტოვოს დაბად გარდაქმნის შესახებ

წალკის რაიონის სოფელი მოლოტოვო გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
6 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა 6 სექტემბერს იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ნარევზე ქალაქი და ციხე-სიმაგრე ოსტროლენკა.

ქალაქ ოსტროლენკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან მდინარე ნარევის აღმოსავლეთი ნაპირი, ამასთან დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რკინიგზის საკვანძო სადგური ოსტროლენკა, დასახლებული პუნქტები კრუშევო, ხელსტი, ჟონსნიკი, სოკოლოვო, ზამბსკი - კოსცელნე, პონიკევი, პსარი.

პრაგის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა კონტრიერიშების შედეგად პოზიციები გაიუმჯობესეს. ქალაქი ვოლომინი, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, კვლავ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.

რუმინეთში ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს ქალაქები — კიმპულუნგი, (ბრაშოვის სამხრეთ-დასავლეთით), კარაკალი, ალექსანდრია, ზიმნიჩე და 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ალბოტა, ცუცულეშტი, კოსტეშტი. ბაბანეშტი, სტრიმბენი, რიკა, სურდულეშტი, კალინდერუ, პერეტუ, სუხაია, და რკინიგზის სადგურები სუსენი, კოსტეშტი, ბურდია, მიროში, ბალაჩი, ბეუკა პაპა, პერეტუ, ბუზესკუ, ციგანეშტი, სმირდიასა, შოიმუ, ულმულეცი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ქალაქი ტურნუ-სევერინი და, ამრიგად, გავიდნენ რუმინეთ-იუგოსლავიის საზღვართან.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

5 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 32 თვითმფრინავი.

7 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

7 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ტარნოვო, ვლოსციანსკი, როზვორი, პუიტული, ოლდაკი, ვოიცეხოვიცე.

რუმინეთში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ, დაიკავეს ქალაქები რიმნიკუ ვილჩა, დრეგეშანი, კორაბია, ტურნუ-მეგურელე. 6 სექტემბრის განმავლობაში უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დამატებითი ცნობებით უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების მიერ 3 სექტემბერს ბაკეუს რაიონში წამოყვანილ ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ გერმანელთა მე-6 არმიის სარდლის მოადგილე ზურგში გენერალ-ლეიტენანტი ბურკჰარდტი, 376-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი შვარცი, ქალაქ კიშინიოვის ყოფილი კომენდანტი გენერალ-მაიორი ფონ დევიტცი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

6 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 30 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგეს, რომელსაც ამ უკანასკნელ დღეებში დიდი ზარალი მოუვიდა, ახალი ნაწილები გამოჰყავს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ერთ უბანზე გერმანელების ტანკები და ქვეითი ჯარი თორმეტჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-მდე გვამი, მოსპობილია 16 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წავართვით 14 ქვემეხი, 30 ტყვიამფრქვევი და საწყობი სამარ მასალიანად. სხვა რაიონში ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. გერმანელებმა სცადეს აღედგინათ მდგომარეობა, მაგრამ ყველა სახის იარაღის ცეცხლს წააწყდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

* * *

რუმინეთში ჩვენი ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მდინარე ოლტული და დაიკავეს ქალაქი დრეგეშანი. სხვა ჩვენმა ნაწილებმა დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 40 კილომეტრით და დაიკავეს დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარე ქალაქი კორაბია. მოწინააღმდეგეს სასწრაფოდ გადმოყავს რეზერვები და გზიდანვე აბამს მათ ბრძოლაში. საბჭოთა მოძრავი შენაერთები და ქვეითი ჯარი სწრაფი დარტყმებით სპობენ მტრის ნაწილებს, ამასთან ხელთ იგდებენ ბევრ დავლასა და ტყვეებს. ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გაანადგურეს ვენიდან ახლად მოსული გერმანელთა სამარშო ბატალიონი.

* * *

ქალაქ ტარტუს ჩრდილოეთით ჩვენმა დაზვერვამ გამოარკვია, რომ მოწინააღმდეგე იერიშისათვის ემზადებოდა და დიდძალი ქვეითი ჯარისა და 50-მდე ტანკისათვის მოეყარა თავი. დილაადრიან ჩვენმა ავიაციამ მასირებულად დაარტყა თავმოყრილ ჰიტლერელებს. გერმანელებმა ავიაგამანადგურებლები აუშვეს ჰაერში, ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი ჯარები და განადგურებისაგან ეხსნათ ისინი. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა შებოჭეს მტრის ავიაციის მოქმედება და უზრუნველჰყვეს ჩვენი ბომბდამშენებისა და მოიერიშეების მოქმედების თავისუფლება. ავიაციის დარტყმების შედეგად მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი, 2 ჯავშანტრანსპორტიორი, 40-მდე ქვემეხი, 60 ავტომანქანა ტვირთიანად და აფეთქებულია საომარი მასალის 2 საწყობი. დიდი ზარალი მოუვიდა მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარს. იერიში, რომელსაც გერმანელები ამზადებდნენ, ჩაიშალა. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 14 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ იელგავის (მიტავის) სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე იმ დროს, როცა იგი ნაწილთა შეცვლას აწარმოებდა. ჰიტლერელებმა, რომელთაც მოუმზადებელს მიუსწარით სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ხელსაყრელი ზღუდე. საბჭოთა მზვერავებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა ჩასძირეს გერმანელთა წყალქვეშა ნავი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელთა 62-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ლუი ტრონიე. ტყვემ განაცხადა: გერმანიის უმაღლეს სარდლობას არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის, რომ აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ უბანზე რუსების მხრივ დიდი შეტევითი ოპერაციები მოსალოდნელი არ არისო. ამასთან ამბობდნენ, რომ საბჭოთა ჯარების მთელი ძალები ფრონტის ცენტრალურ და ჩრდილოეთ უბნებზე მოქმედებენო. მაგრამ 20 აგვისტოს ჩვენთვის მოულოდნელად დაიწყო რუსების შეტევა სამხრეთში. უნდა ვაღიარო, რომ საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს თავდაცვა იმ უბანზე, რომელსაც იცავდნენ არა რუმინეთის არამედ გერმანიის ჯარები. მალე, როცა 62-ე დივიზიის მდგომარეობა სახიფათო გახდა, ბრძანება მომივიდა სასწრაფოდ დამეხია უკან, მაგრამ რუსებმა გვაჯობეს მანევრის სისწრაფეში. დივიზია გარშემორტყმული აღმოჩნდა. გადავწყვიტე დარჩენილი ადამიანებიანად გავჭრილიყავი დასავლეთით, მდინარე პრუტისაკენ. ზარალი ძალიან დიდი იყო. ჩვენი გზა მოფენილია მრავალი ათასი დაღუპული გერმანელი ჯარისკაცით. მეოთხე დღეს ჩემთან მხოლოდ ოფიცერთა მცირე ჯგუფი დარჩა. რუსი კავალერისტები რომ დავინახეთ, იარაღი დავყარეთ და ტყვედ დავნებდით.

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ა. ჰაკსელი, დელეგაციის თავმჯდომარე; თავდაცვის მინისტრი ინფანტერიის გენერალი რ. ვალდენი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ჰეინრიქსი; გენერალ-ლეიტენანტი ო. ენკელი.

დელეგაციას ჩამოჰყვნენ ექსპერტები: ბ-ნი პ. ხიუნინენი, ვ. გრენბლუმი, ე. კასტერენი და მდივნები.

მოსკოვის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სხვა წარმომადგენლები, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ნ. ევსტიგნეევი.

მ. ი. ალიევი—აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ბაქო, 3 სექტემბერი (საკდესი). აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მ. ი. ალიევი დანიშნულია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

უკანასკნელი ცნობები

ჰელის განცხადება საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

ვაშინგტონი, 6 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, მოიწონა საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთისათვის ომის გამოცხადება. პასუხად ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვისა, წინასწარ აცნობა თუ არა საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ მას განზრახვა აქვს ბულგარეთს ომი გამოუცხადოსო, ჰელმა სთქვა, რომ სსრ კავშირმა ომის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე აცნობა ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჰელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გამოსთქვამდა აზრს ბულგარეთის ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ხელსაყრელი იყო ნაცისტებისათვის, ვინაიდან შესაძლებლობას აძლევდა მათ თავისუფლად გაეყვანათ თავიანთი ჯარები ბულგარეთიდან. ჰელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს ამბავი, რომელსაც უნდა მივესალმოთ, გამოწვეულია ომიანობის დროის აუცილებლობითო.

უნგრეთის ოფიციალური ცნობა რუმინეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შესახებ

ჟენევა, 7 სექტემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ბუდაპეშტში გამოქვეყნდა უნგრეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა, რომ უნგრეთმა საომარი მოქმედება დაიწყო რუმინეთის წინააღმდეგ. ცნობაში ნათქვამია, რომ უნგრეთის მთავრობა არ სცნობს რუმინეთის უფლებებს ტრანსილვანიის ჩრდილოეთ ნაწილზე. ვინაიდან რუმინეთის ჯარებმა, ნათქვამია ცნობაში, გადმოლახეს ჩრდილოეთ ტრანსილვანიის საზღვარი, უნგრეთის სარდლობამ უბრძანა უნგრეთის არმიას გაილაშქროს რუმინეთის ჯარებს წინააღმდეგ.

საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

სტამბოლი, 6 სექტემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების მიძალებით გერმანელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ლიდორიკი. მოწინააღმდეგემ ამფისის მიმართულებით დაიხია. ლიდორიკის სექტორში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს კარუდა-ელატოს რაიონი.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განწყვეტისათვის

ბულგარეთის მთავრობამ, რომელიც 1941 წელს დაადგა ჰიტლერულ გერმანიასთან სამხედრო თანამშრომლობის გზას, ამ დროიდან დაიწყო დახმარების გაწევა გერმანელებისათვის მათ ავაზაკურ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, როცა გერმანიის სამხედრო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ბულგარეთის მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი დახმარება ჰიტლერელებისადმი, ფართო შესაძლებლობა მისცა მათ გამოეყენებინათ აეროდრომები, სამდინარო და საზღვაო ნავსადგურები და ბულგარეთის მთელი ტერიტორია სამხედრო მიზნებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 17 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ბულგარეთის დესპანს მოსკოვში ბ-ნ სტამენოვს გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად ბულგარეთის მთავრობისადმი არაერთგზის წარდგინებისა, სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის საომარი მოქმედებისათვის ბულგარეთის ტერიტორიისა და ბულგარეთის ნავსადგურების გამოყენების შესახებ, ბულგარეთის მთავრობა ამ წარდგინებათა პასუხად დაკმაყოფილდა ნოტაში მოყვანილი ფაქტების მხოლოდ ლიტონი უარყოფით, რაც არ შეიძლება განხილულ არ იქნას როგორც ცდა — დაჰფარონ ბულგარეთის ხელისუფალთა მტრული მოქმედება საბჭოთა კავშირისადმი. შემდეგ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მთავრობას მოეპოვება სარწმუნო მასალები, რომ გერმანია ფართოდ იყენებს ბულგარეთის ტერიტორიას და შავ ზღვაზე ვარნისა და ბურგასის ნავსადგურებს იმავე სამხედრო მიზნებისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ, ისევე როგორც რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცას, რომლებიც გადაქცეული არიან გერმანიის ბაზებად, სადაც იმყოფებიან გერმანიის ძირითადი სამხედრო-საზღვაო ძალები შავ ზღვაზე, რომლებსაც იფარავენ ბულგარეთის ხელისუფალნი. როგორც ნოტაში ნათქვამი იყო, გერმანელები ასევე იყენებენ ბულგარეთის აეროდრომებს საბჭოთა ჯარებზე თავდასასხმელად.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში შემდეგ ნათქვამი იყო:

> „ასეთი მდგომარეობა შეუთავსებელია სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის ნორმალურ ურთიერთობასთან და შემდეგში არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას. საბჭოთა მთავრობა დაჟინებით აძლევს წინადადებას ბულგარეთის მთავრობას დაუყოვნებლივ შესწყვიტოს ჰიტლერული გერმანიის მიერ ბულგარეთის ტერიტორიისა და ბულგარეთის ნავსადგურების გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

24 აპრილის საპასუხო ნოტაში ბულგარეთის მთავრობა კვლავ შეეცადა უარეყო ბულგარეთის ტერიტორიის, ნავსადგურებისა და აეროდრომების გამოყენება გერმანელების მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში და პირფერულად გამოჰხატა მზადყოფნა — შემოწმებული ყოფილიყო მსგავსი ფაქტები.

ამ ნოტის პასუხად 26 აპრილს საბჭოთა მთავრობამ ბულგარეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც წინადადება მისცა აღდგენილიყო საბჭოთა საკონსულო ვარნაში, აგრეთვე დაარსებულიყო საბჭოთა საკონსულოები ბურგასსა და დუნაის რუშჩუკში, რაც შესაძლებლობას მისცემდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, ბულგარეთის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოეხდინათ ფაქტების საჭირო შემოწმება და განეხორციელებინათ ასეთი შემოწმება მომავალშიც, თუ ამისი საჭიროება იქნებოდა.

ბულგარეთის მთავრობამ თავის 6 მაისის ნოტაში თავი აარიდა პირდაპირ პასუხს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებაზე და შეეცადა საბჭოთა საკონსულოების გახსნა ბულგარეთში დაეკავშირებინა ომისგან შეწყვეტილი ეკონომიური ურთიერთობის განახლებასთან ბულგარეთსა და სსრ კავშირს შორის. ბულგარეთის მთავრობამ თავის ნოტაში განაცხადა მზადყოფნა კეთილგანწყობილად განეხილა საბჭოთა მთავრობის სურვილები ვარნასა, ბურგასსა და რუშჩუკში საბჭოთა საკონსულოების გახსნის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განახლებული იქნებოდა ეკონომიური ურთიერთობა ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ბულგარეთის მთავრობის ასეთი პოზიცია არ შეიძლებოდა შეფასებული ყოფილიყო სხვანაირად, თუ არ როგორც უარის თქმა საბჭოთა მთავრობის სამართლიანი სურვილის დაკმაყოფილებაზე და როგორც ბულგარეთის მთავრობის განზრახვა — განეგრძო დახმარების გაწევა გერმანიისათვის მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობამ თავის 9 მაისის ნოტაში მიუთითა ამაზე, ცხადჰყო რა მთელი უნიადაგობა ბულგარეთის მთავრობის ცდისა—საკონსულოების საკითხი დაეკავშირებინა ბულგარეთსა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო კავშირის განახლების საკითხთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკონსულოები არავითარ სავაჭრო ოპერაციებს არ აწარმოებენ.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში კვლავ დაჟინებით მოითხოვდა დაკმაყოფილებულიყო მისი სურვილები საბჭოთა საკონსულოს აღდგენის შესახებ ვარნაში და საბჭოთა საკონსულოების დაარსების შესახებ ბურგასსა და რუშჩუკში.

მიუხედავად ამისა, ბოჟილოვის მთავრობა კვლავ არიდებდა თავს პირდაპირი პასუხის გაცემას საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე საკონსულოების გახსნის შესახებ და თავის 15 მაისის ნოტაში კვლავ წამოაყენა არგუმენტები სავაჭრო კავშირის აღდგენის შესახებ, რაც უკვე მხილებული იყო 9 მაისის საბჭოთა ნოტაში.

ბულგარეთის მთავრობის ასეთი საქციელი აშკარად მოწმობდა მის მისწრაფებას განეგრძო დახმარების გაწევა გერმანიისათვის და ეს დახმარება დაეფარა პირფერული მანევრებით.

ამის გამო საბჭოთა მთავრობამ სერიოზულად გააფრთხილა ბოჟილოვის მთავრობა თავისი 18 მაისის ნოტით. საკითხის ისტორიის მოთხრობის შემდეგ, ნოტაში აღნიშნული იყო:

> „ბულგარეთის მთავრობა ვერ უარჰყოფს საბჭოთა მთავრობის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ბულგარეთის ტერიტორია, მისი ნავსადგურები და აეროდრომები ბულგარეთის მთავრობის მიერ გადაცემულია ჰიტლერული გერმანიის განკარგულებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისათვის და რომ ბულგარეთის მთავრობა სწორედ ამიტომ ეძებს საბაბს, რათა თავი აარიდოს პირდაპირ პასუხს საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე ბულგარეთში საბჭოთა საკონსულოების გახსნის შესახებ.
>
> ზემოთ თქმულის გამო, საბჭოთა მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ბულგარეთის მთავრობამ შემდგომი გაჭიანურების გარეშე დააკმაყოფილოს საბჭოთა მთავრობის წინადადება ვარნაში საბჭოთა საკონსულოს აღდგენისა და ბურგასსა და რუშჩუკში საბჭოთა საკონსულოების გახსნის შესახებ. საბჭოთა მთავრობა გაფრთხილებას იძლევა, რომ საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული სურვილის დაკმაყოფილების გარეშე იგი შეუძლებლად ჩასთვლის ურთიერთობის შენარჩუნებას ბულგარეთთან, როგორც ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ეხმარება და რომელსაც განზრახვა აქვს მომავალშიც დაეხმაროს ჰიტლერულ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში".

ბულგარეთის მთავრობა ყოველნაირად აჭიანურებდა პასუხის გაცემას საბჭოთა კავშირის ამ ნოტაზე. ბაგრიანოვის მთავრობა, რომელმაც შესცვალა ბოჟილოვის მთავრობა, განაგრძობდა მანევრირებას, აფერხებდა საკითხის გადაწყვეტას საბჭოთა საკონსულოების გახსნის შესახებ და ჰიტლერული გერმანიისათვის ყოველგვარი დახმარების შეწყვეტის შესახებ მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ.

მხოლოდ ივლისის ბოლოს, როცა წითელი არმიის ზაფხულის შეტევამ და მოკავშირეთა ჯარების წარმატებითმა ოპერაციებმა საფრანგეთსა და იტალიაში გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენეს, ბაგრიანოვის მთავრობამ, ბოლოს (29 ივლისის ნოტით), გამოსთქვა თავისი პირობითი თანხმობა საბჭოთა საკონსულოს აღდგენაზე ვარნაში და ამასთან გაურკვეველი ვადით გადასდო საბჭოთა საკონსულოების გახსნა ბურგასსა და რუშჩუკში. ბაგრიანოვის მთავრობამ თავის ნოტაში დაჟინებით გაუსვა ხაზი ბულგარეთის მდგომარეობის თავისებურებას, როგორც ისეთი ქვეყნისას, რომელიც სამთა პაქტით არის შებოჭილი და რომელიც იცავს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას სსრ კავშირის მიმართ და განაცხადა:

> „ბულგარეთის მთავრობა სთვლის, რომ იმ პოლიტიკით, რომელიც მიღებულია მის მიერ და რომელსაც იგი საქმით ახორციელებს, და იმასთან ერთად, რაც მან უკვე აქამდე გააკეთა, მან ბევრად უფრო მეტი გააკეთა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და დასაცავად, ვიდრე ეს მიღწეული იქნებოდა მოთხოვნილი საკონსულოების მარტო გახსნით. მაგრამ, უკვე იმ მოლაპარაკების შედეგად შექმნილი მდგომარეობისას, რომელსაც ბულგარეთის ყოფილი და ახლანდელი მთავრობა აწარმოებდა საბჭოთა კავშირთან, და საბჭოთა კავშირის მთავრობის სურვილის გამოთქმისას — გახსნილიყო საკონსულოები ვარნაში, ბურგასსა და რუშჩუკში, თუ ეს კიდევ უფრო მეტად დაეხმარება პოლიტიკას, რომლის გატარებაც სურს ბულგარეთის მთავრობას, იგი სთვლის, რომ ამის განხორციელება შეიძლებოდა თანდათანობით, დაწყებული, მაგალითად, საკონსულოს აღდგენით ვარნაში, რომლის მოქმედების რაიონი შეიძლება გავრცელდეს ბურგასსა და რუშჩუკზე. ვარნისაგან ამ ქალაქების უმნიშვნელო სიშორისა და იმ დახმარების პირობებში, რომელსაც ბულგარეთის მთავრობა აძლევს და კვლავაც მისცემს საბჭოთა კავშირს, საკონსულოს ვარნაში არ გაუძნელდება თავისი ფუნქციების შესრულება".

მაგრამ ამ დროისათვის ჰიტლერული არმიის წინააღმდეგ საომარი მოქმედება მიუახლოვდა ბულგარეთის საზღვრებს და გერმანიის სარდლობამ, ბულგარეთის მთავრობის მფარველობით, მნიშვნელოვნად გააფართოვა ბულგარეთის ტერიტორიის გამოყენება თავისი ჯარების სამხრეთის დაჯგუფებისათვის დახმარების გასაწევად. ამ ახალ პირობებში ჰიტლერულ გერმანიასთან ბულგარეთის მიერ კავშირის მხოლოდ სრულ გაწყვეტას შეეძლო უზრუნველეყო ყოველგვარი დახმარების შეწყვეტა გერმანიისადმი მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა 12 აგვისტოს ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ბაგრიანოვს საბჭოთა მთავრობის სახელით განუცხადა შემდეგი:

> „ბულგარეთში სამი საბჭოთა საკონსულოს საკითხის გადაწყვეტის დიდად გაჭიანურების გამო და შეცვლილ სამხედრო ვითარებასთან დაკავშირებით საკითხმა საკონსულოების შესახებ ახლა ყოველგვარი აზრი დაჰკარგა, თუ ბულგარეთი ფიქრობს როგორმე გამოვიდეს ჩიხიდან, ამჟამად შეიძლება იდგეს მხოლოდ საკითხი გერმანიასთან ბულგარეთის მიერ კავშირის გაწყვეტისა. საბჭოთა მთავრობა ეკითხება ბულგარეთის მთავრობას, მზად არის თუ არა იგი კავშირი გაწყვიტოს გერმანიასთან. საბჭოთა მთავრობა ელის პასუხს ამ საკითხზე და იმედოვნებს, რომ ბულგარეთის მთავრობა ამ საქმეს არ გააჭიანურებს".

ბაგრიანოვის მთავრობამ, რომელსაც არ სურდა ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტა და ცდილობდა დაეფარა თავისი დახმარება ამ უკანასკნელისადმი, გამოაცხადა ბულგარეთის ეგრეთწოდებული „სრული ნეიტრალიტეტი" და ამგვარად ამაოდ ცდილობდა მოეტყუებინა თავისი ქვეყნის ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ბულგარეთის „ნეიტრალიტეტი" საქმით წარმოადგენს ჰიტლერული გერმანიისადმი დახმარების მხოლოდ ახალ ფორმას. ბულგარეთის მთავრობამ გერმანიის სარდლობას სრული შესაძლებლობა მისცა არა მარტო შეეფარებინა ბულგარეთის „ნეიტრალურ" ტერიტორიაზე თავისი შებერტყილი ჯარები და სამხედრო გემების ეკიპაჟები, არამედ ბულგარეთით გადაეყვანა რეზერვები რუმინეთში, სადაც გერმანიის ჯარები წითელი არმიის დარტყმებით ზედიზედ განიცდიან დამარცხებას.

ამასთან დაკავშირებით 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა სოფიაში ბულგარეთის მთავრობას გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

> „საბჭოთა მთავრობის დავალებით გაცნობებთ, რომ, სარწმუნო ცნობების მიხედვით, ბულგარეთის მთავრობა კვლავ უშვებს გერმანიის ჯარებს რუმინეთის ტერიტორიაზე, სადაც დგანან საბჭოთა ჯარები და სწმენდენ რუმინეთის ტერიტორიას გერმანიის ჯარებისაგან. საბჭოთა მთავრობას ბულგარეთის მთავრობის ეს ნაბიჯი მიაჩნია, როგორც პირდაპირი დახმარება გერმანელებისადმი ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს ბულგარეთის მთავრობას დაუყოვნებლივ შესწყვიტოს გერმანიის ჯარების გაშვება რუმინეთის ტერიტორიაზე".

ბულგარეთის მთავრობამ არ გააკეთა საჭირო დასკვნები საბჭოთა მთავრობის ამ განცხადებიდან და განაგრძობდა თავის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარების შეხიზვნას. საბჭოთა მთავრობისა და ბულგარეთის მთავრობის ნოტების ზემოთ მოყვანილი სრული ტექსტები ადასტურებენ, რომ ბულგარეთის მმართველ წრეებს არ სურდათ და არ სურთ კავშირი გასწყვიტონ ჰიტლერულ გერმანიასთან.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განწყვეტისათვის

(დასასრული)

3 სექტემბერს ჩამოყალიბებულმა ბულგარეთის ახალმა მთავრობამ მურავიევის მეთაურობით ჰიტლერელებთან კავშირის გაწყვეტის ნაცვლად თავის დეკლარაციაში აგრეთვე განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს გაატაროს „ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკა, რაც საქმით ნიშნავს გერმანიისათვის პირდაპირ დახმარებას საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ომში.

საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო ბულგარეთის ეს პოლიტიკა შეეფასებინა სხვაგვარად, თუ არა როგორც ომის ფაქტიური წარმოება გერმანიის ბანაკში სსრ კავშირის წინააღმდეგ, და თავის 5 სექტემბრის ნოტაში განაცხადა, რომ „საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად აღარ მიაჩნია იქონიოს ურთიერთობა ბულგარეთთან, სწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას ბულგარეთთან და აცხადებს, რომ არა მარტო ბულგარეთი იმყოფება ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, რამდენადაც საქმით იგი წინათაც იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, არამედ საბჭოთა კავშირიც ამიერიდან ომის მდგომარეობაში იქნება ბულგარეთთან“.

ამრიგად, ბულგარეთის მმართველი წრეები დაადგნენ ჰიტლერულ გერმანიასთან სამხედრო თანამშრომლობის გზას, ჩააბეს ბულგარელი ხალხი, მისი ძირითადი ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგოდ, ომში ჯერ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც, მოძმე რუსი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი სისხლი დაღვარა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის.

ბულგარელმა ხალხმა უნდა გამონახოს თავისში ძალები, რომ გასწყვიტოს მისთვის თავზე მოხვეული კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან და აღადგინოს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა და ნაციონალური ღირსება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო

ამერიკის რადიოკომენტატორი იალჩინის სტატიის შესახებ

ნიუ-იორკი, (საკდესი) რადიოკომენტატორმა ჯეიმ, რომელიც რადიოთი გამოვიდა თურქეთის პრეზიდენტ ინენიუსადმი მიმართული მკაცრი „ღია წერილით“, პასუხი გასცა თურქ ჟურნალისტის იალჩინის სტატიას, რომელიც „პრავდამ“ 19 აგვისტოს გააკრიტიკა. ჯეის სიტყვით, იალჩინის განცხადება იმის შესახებ, რომ წითელმა არმიამ შეაჩერა თავისი შეტევა ვარშავასთან, „წარმოადგენს არა მარტო უდროოსა და არასწორს, არამედ კიდევაც შეურაცხჰყოფს ყველა გონივრულად მოაზროვნე ადამიანს და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს მამაც წითელ არმიას და მილიონობით გმირ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ერი, ხელს უწყობდნენ ჰიტლერიზმის მოსპობას“.

ის ფაქტი, — განაგრძობს ჯეი, — რომ ეს განცხადება გამომდინარეობდა თურქეთიდან, „რომლის ხელმძღვანელები იცავდნენ ეგრეთწოდებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რაც მათ უაღრესად შორსმჭვრეტელურად მიაჩნდათ, თურქეთიდან, რომელიც შორიდან მშვიდად ადევნებს თვალს დემოკრატიული ქვეყნების ბრძოლას საზიზღარი მკაცრი დიქტატურის ბრმა ძალების წინააღმდეგ, მხოლოდ საწყენს უმატებს შეურაცხყოფას. როცა თურქეთის მოქმედებას მე შეურაცხყოფას ვუწოდებ, ეს საკმაოდ რბილი გამოთქმაა, რადგან თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, მისტერ ინენიუ, რომ გაერთიანებული ერების ხელმძღვანელები და ხალხები არ არიან შეცდომაში შეყვანილნი თქვენი მთავრობის ორპირული დიპლომატიური ფანდებით“. ადამიანებს, რომლებსაც ფაშიზმის მოსპობა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ამოცანად მიაჩნიათ, არ შეუძლიათ პატივი სცენ თურქეთს, რომელიც სრულიად უმოქმედოდ ადევნებდა თვალს, როგორ აღმოჩნდა ცივილიზაცია კატასტროფის პირას, „და ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ რუსეთმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, უფრო მეტი რამ შეიტანა, ვიდრე მისგან მოითხოვდნენ, დამღუპველი ხვედრისაგან ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ხსნის საქმეში... სად იქნებოდა თქვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირს რომ არ შეეჩერებინა გერმანელები სევასტოპოლთან, სადაც თვითეულ რუსს უპირისპირდებოდა ათი გერმანელი და სადაც რვა ხანგრძლივი და სისხლიანი თვის განმავლობაში, ვიდრე თქვენი ქვეყანა განაგრძობდა მთქნარებას და თავის გართობას, წითელი არმია წინააღმდეგობას იწევდა, იჩენდა გმირულ სიმტკიცეს და ზეადამიანურ მსხვერპლს სწირავდა, შეანელა ნაცისტთა ურდოების წინსვლა და გერმანელებს უდიდესი ზარალი მიაყენა, რომლისაგან ჰიტლერი უკვე ვეღარ გამართა წელში.

თქვენ ბრალს სდებთ წითელ არმიას იმაში, რომ იგი ისვენებს, — თქვენ, ვინც თავშესაფარი მიეცით ჰიტლერელ ჯაშუშებს და დივერსანტებს, თქვენ, რომელთა მოქმედება ამ მომენტში სერიოზულ ეჭვებს იწვევს... თქვენ მიერ გერმანიასთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა საკმარისი არ არის. თურქეთის საქციელის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ ომის პირდაპირ და არაორაზროვან გამოცხადებას გერმანიისათვის. არ არსებობს არავითარი საშუალო გზა. ისინი, ვინც აქტიურად არ მონაწილეობს მტრის წინააღმდეგ ჩვენი პოზიციების განმტკიცების საქმეში, ჩვენი მტრები არიან, და მათ შესახებ სათანადოდ იმსჯელებენ“.

„პრავდა“

დონბასის განთავისუფლების წლისთავი

საუბარი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ე. ტ. აბაკუმოვთან

1943 წლის 8 სექტემბერს სასიხარულო ამბავი მოეფინა ჩვენს ქვეყანას. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ გვამცნო:

„სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარებმა გერმანელებს წაართვეს და ჩვენს სამშობლოს დაუბრუნეს დონეცის ბასეინი—ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საქვანახშირო და სამრეწველო რაიონი“.

გერმანელმა დამპყრობლებმა, რომლებიც უკან იხევდნენ წითელი არმიის დარტყმების გამო, ასობით ააფეთქეს შახტები, ურნალები, ამწევი მანქანები, ელექტროსადგურები, წყლით ამოავსეს სამთო გამონამუშევრები, ეცადნენ ჩაეღვინათ ყველაფერი, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ხელში გამოეცალათ მისი საბრძმედე.

გერმანელი დამპყრობლების განდევნის შემდეგ გასული წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანებმა კოლოსალური აღდგენითი მუშაობა გასწიეს დონბასში. დონეცის შახტებიდან უკვე ამოტუმბულია 60 მილიონამდე კუბური მეტრი წყალი. აღდგენილია 300 კილომეტრი სამთო გამონამუშევრები, 900 ათასი კუბური მეტრი საწარმოო შენობა-ნაგებობანი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1.300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ბინები მაღაროელთათვის, სასადილოები, საავადმყოფოები, კლუბები და სხვა საყოფაცხოვრებო შენობები.

ამჟამად აღდგენითი მუშაობა მიმდინარეობს დონბასის 220 ძირითად შახტში. უკვე აღორძინებულია და ამუშავდა 102 დიდი შახტი და აღდგენილია 650-მდე მცირე შახტი.

მიმდინარეობს მწყობრში დაბრუნებული შახტების მექანიზაცია, ისინი უფრო ძლავრი ხდებიან, ვიდრე ომამდე იყვნენ. მაგალითად, ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ № 8-2 ბის შახტმა ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელ სიმძლავრეს. ომამდელი ამოღების 135 პროცენტს იძლევა ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის“ შახტი „კრასნი ოქტიაბრი“.

ქვანახშირის ამოღება დონეცის ბასეინში განუხრელად მატულობს. 1943 წლის დეკემბერთან შედარებით იგი ერთიორად და კიდევ მეტად გადიდდა. დონეცის ქვანახშირი უკვე ასაზრდოებს ასობით სამრეწველო საწარმოს, რკინიგზებს, ელექტროსადგურებს, გემებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს. ქვანახშირის ამოღების ზრდა ემყარება მიწისქვეშა და მიწისზედა პროცესთა მექანიზაციის განუწყვეტელ გაფართოებას. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქვანახშირის მანქანათმშენებლობის ქარხნების მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

დონბასის მაღაროელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად აღადგინონ მშობლიური შახტები. განსაკუთრებულ წარმატებას იძლევა წყლის ამოტუმბვის იმ ახალ ხერხთა დანერგვა, რომლებიც დონბასის ინჟინრებმა გამოიგონეს. ამჟამად წარმატებით იყენებენ „ერლიფტის“ დანადგარებს, რომლებიც საათში 1.000-1.300 კუბური მეტრი წყლის ამოტუმბვის საშუალებას იძლევიან.

დონბასში — სტახანოვური მოძრაობის სამშობლოში — ცოცხლდება და მრავლდება ქვანახშირის მაღალი მოპოვების ოსტატთა სახელოვანი ტრადიციები. მთელ ბასეინში ქუხს ომიანობის დროის სტახანოველების — ათანასე კიდიას, ივანე პანაშჩატენკოს, მარიამ პეკოვაიას სახელი. დონბასის განთავისუფლების წლისთავი სტახანოველთა შეკრებებით იქნება აღნიშნული.

დონბასის მაღაროელთა მიღწევები მეტად დიდია, მაგრამ ჯერ ჯერობით მხოლოდ პირველი ეტაპი გვაქვს გავლილი. ჯერ კიდევ მრავალი სიძნელე მოგველის. მაგრამ გასულმა წელმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ, რაც უნდა დიდი იყოს სიძნელეები, განთავისუფლებული დონბასის ადამიანები შესძლებენ მათს გადალახვას. დონბასის აღდგენაში მათ მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარება. ჩვენი კავშირის ყველა კუთხიდან დონბასისაკენ მიდიან სამშენებლო მასალებით, მოწყობილობით, სურსათითა და სამრეწველო საქონლით დატვირთული ეშელონები. დონბასის აღმდგენლებს ყოველდღიურ ყურადღებას უთმობენ და დახმარებას უწევენ პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი. (საკდესი).

თეატრები დაბრუნდნენ განთავისუფლებულ ქალაქებში

განთავისუფლებულ ქალაქებში დაბრუნდა 76 თეატრი, რომლებიც ომის დაწყებისას ევაკუირებული იყვნენ ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. უახლოეს დღეებში მინსკს გაემგზავრება ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ქალ. კოვროვში იმყოფებოდა. ამ დღეებში მუშაობას განაახლებს კიევის სახელმწიფო ოპერა, რომელიც უკრაინის დედაქალაქში ირკუტსკიდან დაბრუნდა. უკრაინის ყველა თეატრი ძირითადად რეევაკუირებულია.

დასაბრუნებლად ემზადება უკანასკნელი ჯგუფი, რომელიც 26 თეატრისაგან შესდგება, მათ შორის კარელია-ფინეთისა და ბელორუსიის თეატრები.

რეევაკუირებული თეატრების დიდმა ნაწილმა სეზონები გახსნა ახლად აგებულ ან სამისოდ გამოძებნილ შენობებში. განთავისუფლებული ქალაქების მოსახლეობა ეცნობა ათობით ახალ დადგმას, რომლებიც მომზადებულია თეატრების მიერ მათი ევაკუაციის დროს, პირველ რიგში პიესებს სამამულო ომის შესახებ.

5 სექტემბერი (საკდესი).

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური სტამბა 1944 წლის 8 სექტემბრიდან ღია იქნება ჯგუფური ექსკურსიებისა და ინდივიდუალურ მნახველთათვის დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათსა და 30 წუთამდე.

კვირაობით მუზეუმის ფილიალი და ავლაბრის სტამბა ღია იქნება დილის 9 საათსა და 30 წუთიდან საღამოს 6 საათამდე.

თემატური ექსკურსიები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე თავების მიხედვით მუზეუმში, თუ წინასწარი ჩაწერა მოხდება ორი დღით ადრე, შეიძლება მოეწყოს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათსა და 30 წუთამდე.

ექსკურსიებზე წინასწარი ჩაწერა მიიღება დილის 9 საათიდან დღის 12 საათამდე დირექციის ტელეფონით № 8-44-40, ხოლო დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათსა და 30 წუთამდე საექსკურსიო ბიუროს ტელეფონით № 3-60-59.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი **ი. რუხაძე**

გავაჩაღოთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მოწინავე საამქროები და ბრიგადები

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ამიერკავკასიის რკინიგზის კვანძის მუშაკთა კოლექტივის მიმართვას საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ამ მიმართვას საქმით გამოეხმაურნენ ქარხნის წამყვან საამქროში — ორთქლმავალთა ამწყობ საამქროში.

ამწყობი საამქროს კოლექტივმა იკისრა დიდი დღესასწაულისათვის მიაღწიოს შემდეგ მაჩვენებლებს: პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით, სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში გეგმის გადამეტებით აღადგინოს და ხაზებზე სამუშაოდ გამოუშვას 2 ორთქლმავალი, დაამზადოს ორთქლმავალთა სარემონტოდ საჭირო დეტალები 50.000 მანეთის ღირებულებისა და არ დაუშვას დაბალხარისხოვანი რემონტი.

ნაკისრ ვალდებულებებს საამქროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს. ჯერ-ჯერობით აქ ყველას გაუსწრო ამხ. შ. შენგელიას ბრიგადამ, რომელიც საზეინკლო სამუშაოთა გეგმას 250 პროცენტით ასრულებს და იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციას. კარგად მუშაობს აგრეთვე ნ. დოლიას ზეინკალთა ბრიგადა.

ქარხნის საამქროებს შორის გაშლილ საოქტომბრო შეჯიბრებაში ასეთსავე კარგ შედეგებს აღწევენ სამჭედლო, საქვაბე და სამგზავრო-სავაგონო საამქროები.

ა. სიმონიშვილი

დეპოელების სიტყვა და საქმე

— მზად შევხვდეთ ზამთარს, ზუსტად დავიცვათ ორთქლმავლის რემონტის გრაფიკი, ფართოდ გამოვიყენოთ შინარესურსები, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, სანიმუშო მდგომარეობაში ვიქონიოთ ორთქლმავლები, მეტი რაოდენობით დავზოგოთ საწვავ-საცხები!

— ასეთი ვალდებულებებით შეხვდნენ თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის კოლექტივის მიმართვას ამიერკავკასიის ყველა რკინიგზელებისადმი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახვედრად კონკრეტული ვალდებულებები აიღეს საამქროებმა და ქარხნის საუკეთესო ადამიანებმა.

ამწევი საამქრო შეუდგა საოქტომბრო საჩუქრების გამზადებას — გეგმის გადამეტებით უშვებს ერთ ორთქლმავალს. გარეცხვითი რემონტის საამქრომ იკისრა დიდი დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10 ორთქლმავალი. მოწინავე მემანქანემ ნ. ჩივაძემ ვალდებულება აიღო თავისი ორთქლმავლით რემონტის ჩაუტარებლად ნაცვლად 50 ათასი კილომეტრისა გაირბინოს 90 ათასი კილომეტრი. ასეთივე ვალდებულება იკისრა აგრეთვე მემანქანე ს. შენგელიამ.

დეპოს მუშათა კოლექტივი წარმატებით შეუდგა საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებას. საამქროებსა და ბრიგადებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. აღებულ ვალდებულებათა განაღდებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან წარმოების მოწინავე ადამიანები.

დ. ჭავჭანიძის ფრონტულმა საკომპლექსო ბრიგადამ, რომელმაც ამას წინათ პირველი ადგილი დაიკავა, უკანასკნელ დღეებში გარეცხვით რემონტზე ორთქლმავლის გაცდენის დრო 2 საათით შეამცირა. ეს ბრიგადა ყოველთვიურად 6-7 ორთქლმავალს უშვებს გეგმის გადამეტებით.

ამწევი საამქროს უფროსი ორდენოსანი შ. ხიზანიშვილი და გარეცხვითი რემონტის საამქროს უფროსი ნ. ლეჟავა საოქტომბროდ ამზადებენ ახალგაზრდა ზეინკლებს, — ამხ. ხიზანიშვილი 3 და ლეჟავა 4 ახალმოსულს.

სექტემბრის პირველი ხუთდღიურის განმავლობაში შეჯიბრებაში ჩაბმულ ბრიგადებს შორის ყველას გაუსწრო მჭედლიშვილის ზეინკალთა ბრიგადამ. ბრიგადაში მომუშავე ზეინკლები ვ. ნიკოლაშვილი და პ. მაზმიშვილი დავალებებს 300-400 პროცენტით ანაღდებენ.

ა. შარვანიძე

მაუდელებთან

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკვე არის პირველი ნიშნები იმისა, რომ ფაბრიკის კოლექტივი მუშაობას აუმჯობესებს. ვერც ივლისსა და ვერც აგვისტოში მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა. 1 სექტემბრიდან კი, ე. ი. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის დღიდანვე მაუდელები წარმატებით ანაღდებენ საწარმოო დავალებებს. სექტემბრის პირველ ხუთდღიურში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

საოქტომბრო შეჯიბრების გაშლის შემდეგ განსაკუთრებით დაწინაურდა კამვოლური საამქრო, რომელმაც სექტემბრის პირველ ხუთდღიურში გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. ასევე დაწინაურდნენ საქსოვი და სამღებრო-სააპრეტურო საამქროები. ამხ. ნადეჟდა ციოკიძე, ოლღა კვირკველია, ელენე გლურჯიძე, ალექსანდრა ხრიუკინა, ბაბო ქოქოლაშვილი და სხვ., რომლებიც წინად ჩამორჩებოდნენ გეგმების შესრულებაში, ახლა სისტემატურად გადაჭარბებით — 120-125 და 130 პროცენტით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან მრავალმანქანოსნები—ლუბა ასათიანი, ანა ოსტრიკოვა და სხვ.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას ასეთ წარმატებებს ხელი შეუწყო ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების (საფაბრიკო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. ჩარაევი, ფაბკომის თავმჯდომარე ა. პილიევა) მუშაობის გაუმჯობესებამ. 1 სექტემბრიდან ფაბრიკაში შემოიღეს მუშაობის ახალი წესი: სადღეღამისო დავალებათა ნაცვლად ახლა საამქროებს ეძლევათ საწარმოო დავალებები ცვლების მიხედვით. ამან ამაღლა მუშათა დაინტერესება და პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. შეჯიბრების წარმატების უზრუნველსაყოფად აქ მოაწყეს საგუშაგოები, რომლებსაც დაკვალებული აქვთ არ დაუშვან ტექნიკური შეფერხებანი მანქანა-მოწყობილობათა მუშაობაში.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მაუდელებმა იკისრეს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ სექტემბერ-ოქტომბრის საწარმოო დავალებები და დიდი დღესასწაულისათვის ქვეყანას მისცენ ათეულ ათასობით მეტრი ქსოვილი.

დ. ამირანიძე

ახალგაზრდობის გაწვევა სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

15 სექტემბერს იწყება ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა (მობილიზაცია) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. სულ გაწვეულ იქნება 350 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში — 280 ათასი, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში — 70 ათასი კაცი. შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებს პასუხსაგები ამოცანა ეკისრებათ — მოკლე ვადაში მოამზადონ კვალიფიციური კადრების ახალი რაზმი სამხედრო მრეწველობისათვის, რკინიგზის ტრანსპორტისა და მშენებლობისათვის, გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულ იქნებიან 15-17 წლის ჭაბუკები და 16-18 წლის ქალიშვილები. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში — 14-15 წლის ჭაბუკები და 15-16 წლის ქალიშვილები.

როგორც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. მოსკატოვის ბრძანებაშია აღნიშნული, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გაწვევის (მობილიზაციის) იმ წესის დაცვას, რაც დადგენილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ: გაწვევის დასახულ ვადებში ჩატარება; სწავლების ადგილას ახალგაზრდობის დროზე მიყვანა; ყოველი გაწვეულის უზრუნველყოფა საგზურითა და ლიტერით რკინიგზებსა და წყლის გზებზე უფასო მგზავრობისათვის, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და საკვები პროდუქტებით მგზავრობის დროს და სხვ.

შრომითი რეზერვების საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური სამმართველოების უფროსებმა, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა დირექტორებმა, საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომებთან, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, ქალაქებს და სოფლის ადგილებში უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამამულო ომის პირობებში სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადების მნიშვნელობის შესახებ.

შრომითი რეზერვების ყველა ადგილობრივ სამმართველოს წინადადება მიეცა, რათა საწარმოებმა უზრუნველჰყონ ახლად მოწყობილი სასწავლებლებისა და სკოლებისათვის საერთო საცხოვრებლები, სამუშაო ადგილებისა და სასწავლო-საწარმოო შენობათა მომზადება, ხოლო არსებულ სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მეცადინეობის დაწყებისათვის ჩაატარონ საჭირო რემონტი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ აღნიშნა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მასობრივ პროფესიათა მუშების და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მომზადების განსაკუთრებული სამხედრო-სამეურნეო მნიშვნელობა სამამულო ომის პირობებში და დაავალა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს, მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომებს და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს ორგანიზებულად ჩაატარონ ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებსა და სასწავლებლებს საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. (საკდესი).

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 5 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება და წინა თვეების ნაკლისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება და წინა თვეების ნაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	82,1	0,8	ქუთაისი	91,6	—
ქობულეთი	77,5	6,7	წყალტუბო	102,7	5,2
გალი	81,8	2,9	ტყიბული	94,4	5,6
ოჩამჩირე	85,4	5,1	ცხაკაია	89,4	—
გულრიფში	97,1	—	აბაშა	91,0	3,3
სოხუმი	156,0	75,0	გეგეჭკორი	81,6	3,3
გუდაუთი	96,8	—	ზუგდიდი	82,9	2,8
მახარაძე	81,3	4,4	წალენჯიხა	92,2	1,7
ჩოხატაური	83,9	1,1	ჩხოროწყუ	87,5	—
ლანჩხუთი	74,5	1,5	ხობი	87,0	—
სამტრედია	96,3	0,4	ჩხარი	102,5	—
წულუკიძე	91,0	5,5	ზესტაფონი	49,5	—

ჩხოროწყუს, ხობის, ბათუმის მახარაძის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის რაიონების ცნობები არასრულია.

დეპეშები

ინგლისური პრესა საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი რენდელ ნილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადება, რაც ინგლისის მთავრობას წინასწარ ეცნობა, წარმოადგენს რეალისტური პოლიტიკის აქტს, რომლის შედეგიც იქნება ორაზროვანი მდგომარეობის გარკვევა. ბოლო მოეღო ბულგარეთის ხრიკებსა და ფანდებს. ბულგარეთმა კავშირი უნდა გასწყვიტოს გერმანიასთან, განაიარაღოს გერმანელთა ჯარები და დააბრუნოს მის მიერ დაკავებული ტერიტორიები.

გაზეთების „ტაიმსის“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველები სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: „რუსეთის მიერ ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადება წარმოადგენს თავხედური და ამპარტავნული პოზიციის უაღრესად ბუნებრივ შედეგს, რომელიც ეკავა ბულგარეთის ორივე მთავრობას როგორც ბაგრიანოვის, ისე მურავიევის მეთაურობით. მომენტში შეუწყნარებელი იყო, რომ ბულგარეთის მთავრობას კვლავ განეცხადებინა თავისი განზრახვა „სრული ნეიტრალიტეტის“ დაცვის შესახებ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბულგარეთი დახმარებას უწევდა გერმანიას“.

გაზეთი „იორკშირ პოსტი“ სწერს: „დანარჩენი მოკავშირეები მიესალმებიან რუსების ნაბიჯს, რამდენადაც იგი ბოლოს უღებს არანორმალურ მდგომარეობას“.

ამერიკის რადიო საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთთან ომის მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი (საკდესი). ნიუ-იორკისა და სანფრანცისკოს რადიომ გამოაქვეყნა ცნობა ბულგარეთის მთავრობისადმი საბჭოთა კავშირის მიერ გადაცემული ნოტის შესახებ. ნიუ-იორკის რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ ამერიკელთა საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთისათვის ომის გამოცხადებას აფასებს, როგორც დიდი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის ფაქტს. ახლა, — ნათქვამია რადიოგადაცემაში, — ჰიტლერელთა მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სავსებით კატასტროფული გახდება. საბჭოთა კავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯი ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ მოკავშირეთა შორის სრული ერთიანობა სუფევს.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

ბრიუსელ-ანტვერპენის სექტორში მოკავშირეთა ჯარები 5 სექტემბერს ოპერაციებს აწარმოებდნენ მოწინააღმდეგისაგან ამ ადგილის გასაწმენდად. უფრო შორს დასავლეთისაკენ მოკავშირეთა მეწინავე სატანკო ნაწილებმა გენტის სამხრეთ განაპირა უბნებს მიაღწიეს. მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ წარმატებით წინსვლას სომის ჩრდილოეთით და 5 სექტემბერს საღამოს ერ-სენტ-ომერის ხაზს მიაღწიეს. სხვა ნაწილებმა ბულონს შემოუარეს და გინის ტყეს მიაღწიეს. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ბელგიაში მიიწევენ წინ, გაათავისუფლეს შარლერუა და ნამიური. მდინარე მაასი გადალახულია დინანისა და ჟივეს რაიონში.

5 სექტემბერს მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის აეროდრომებზე, სატრანსპორტო კოლონებსა და რკინიგზის ობიექტებზე ჰოლანდიისა და დასავლეთ გერმანიაში. მოწინააღმდეგის 143 თვითმფრინავი მოსპობილია მიწაზე და 28 ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლებში.

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

გენტი და კურტრე აღებულია ჩვენი ჯარების მიერ. დავიკავეთ არმანტიერი და ლილის დასავლეთით მდებარე რაიონი თვით მერვილამდე. ჯავშანსატანკო შენაერთებმა წინ წაიწიეს სენტ-ომერის აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ჯარები ბულონის მიდამოებში იმყოფებიან. მოწინავე რაზმები გარს შემოერტყნენ კალეს. გრძელდება აგრეთვე წინსვლა ვერდენის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ავიაცია თავს ესხმოდა მტრის სამხედრო ობიექტებს.

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ადრიატიკის სექტორში გრძელდება მძიმე ბრძოლები. მე-8 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგე განდევნეს მთიან ადგილებში მდებარე პოზიციებიდან კორიანოდან ზღვამდე. მძიმე ბრძოლები სწარმოებს ქალაქ კორიანოს გარშემო და თვით ქალაქში.

მე-5 არმია წინ მიიწევს ფლორენციის დასავლეთით და დაიკავა ქალაქი ალტოპაშიო. მე-5 არმიის პატრულები ქალაქ ლუკაში შევიდნენ. ფლორენციის ჩრდილოეთით ინგლისის ჯარები განაგრძობენ წინსვლას. ფრონტის სხვა უბნებზე გრძელდება პატრულების აქტიური მოქმედება.

საფრანგეთში მე-7 არმიის მეწინავე ნაწილებმა წინ წაიწიეს რამდენიმე პუნქტში მდინარე სონასა და შვეიცარიის საზღვარს შუა. გრძელდება სწრაფი წინსვლა მდინარე სონის ხეობაში. ამერიკის ჯარებმა დაიკავეს რკინიგზის კვანძები ლუანი და ლონლე-სონიე. ფრანგთა ჯარებმა, რომლებიც ჩრდილოეთით მდინარე სონის ხეობაში უტევენ, დაიკავეს კლიუნი და ლე-ვილარი და შალონსიურ-სონს უახლოვდებიან.

5 სექტემბერს მოკავშირეთა თვითმფრინავები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დაბომბვას ჩრდილოეთ იტალიასა და საფრანგეთში. მძიმე ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ რკინიგზის ხიდებს ბუდაპეშტის მახლობლად.

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, ადრიატიკის სექტორში, მეტად მძიმე ბრძოლები გრძელდება. ფლორენციის ჩრდილოეთით გრძელდება წინსვლა მაღლობზე. ამერიკის მე-5 არმიის უბანზე პატრულები ქალაქ პრატოში შევიდნენ.

აღმოსავლეთ საფრანგეთში მე-7 არმიის ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად სდევნიან უკანდახეულ მტერს, გაათავისუფლეს მთელი რიგი ახალი ქალაქები. მტერმა უმნიშვნელო წინააღმდეგობა გასწია.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებლების თანხლებით გუშინ თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის ობიექტებს ბალკანეთში.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 6 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ ჩერნოგორიასა და სანჯაკში შეტევაზე გადასული იუგოსლაველთა ნაწილები განაგრძობენ მოწინააღმდეგისაგან ტერიტორიის წარმატებით გაწმენდას. მაკედონიაში, პრეშოვოს სექტორში, ბულგარეთის დიდმა საოკუპაციო ძალებმა, რომლებიც გერმანელთა უკანდახევას იფარავენ, შეტევითი ოპერაციები დაიწყეს იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. სწარმოებს გააფთრებული ბრძოლები. პრილეპ-ველესისა და გრადიშკო-ველესის გზებზე განადგურებულია გერმანელთა ორი კოლონა. მოსპობილია 4 ტანკი და 6 სატვირთო მანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 150 გვამი. წამოყვანილია ტყვეები.

ჟენევა, 6 სექტემბერი (საკდესი). რადიოსადგურმა „სლობოდნა იუგოსლავიამ“ გადასცა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობა, რომელშიც მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები იუგოსლავიაში იმ კომუნიკაციების დეზორგანიზაციის შესახებ, რომლებსაც გერმანელები იყენებენ. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმატებითი მოქმედების შედეგად სატრანსპორტო კავშირი გერმანელთა ჯარების ზურგში მნიშვნელოვან წილად პარალიზებულია.

კულტურული კავშირი სსრ კავშირსა და ირანს შორის

მეშხედი, 5 სექტემბერი (საკდესი). ირანში საუკეთესო თეატრის — მეშხედის საქალაქო თეატრის გახსნაზე სპარსულ ენაზე წარმოდგენილ იქნა ა. ჩეხოვის პიესა „წინადადება“. სპექტაკლს განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა.

საბჭოთა კავშირ-ირანის კულტურული კავშირის საზოგადოების ხორასნის განყოფილების სასპორტო სექციამ ამხანაგური საფეხბურთო მატჩი მოაწყო საბჭოთა გარნიზონის გუნდსა და ირანის ნაკრებ გუნდს შორის. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 0:0.

ქალაქის თეატრის გახსნასა და საფეხბურთო მატჩს დაესწრნენ ხორასნის გენერალ-გუბერნატორი ალი მანსური და სსრ კავშირის გენერალური კონსული ამხ. აბრამოვი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ემდენზე

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთმა ავიაგამანადგურებლების თანხლებით დიდი თავდასხმა მოახდინა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ბაზა ემდენზე. მტერს ჰაერში არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. დოკების რაიონში აღნიშნულია დიდი აფეთქებანი. ხანძართა კვამლი სჩანდა ნავსადგურიდან 90 მილის მანძილზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ქუჩუკო, ვალიკო, კოლია, სერგი, გიორგი, თალიკო, პასიკო, კაკია ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან ბიცოლა **პაშა ახვლედიანის** გარდაცვალებას.

შვილები შოთა, ჯოტია, გრიშა ცოლ-შვილით, ძაძუ, სონია, მარგო ქმარ-შვილით იუწყებიან **პაშა გიორგის-ასულ ახვლედიანის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები ალექსანდრე, მიშა, შალვა, არჩილ, ქეთო ჰუმბურიძეები, ლენა, დავით, ციალა მესხები იუწყებიან **დესპინე ჰუმბურიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/IX, 7 ს. გამოსვენება 10/IX, 5 ს. ველიამინოვის, 12.

მშობლები როზა და გრიგოლ ჩხიკვაძეები, ბებია პოპინე, ბაბუა ალექსანდრე ლაშხები იუწყებიან **დალი ჩხიკვაძის** გარდაცვალებას.

თბილისის საოლქთაშორისო მილიციის სკოლის კურსანტთა, მეთაურთა და მასწავლებელთა შემადგენლობა იუწყება სერგო მეტრეველის მეუღლის **ლუბას** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IX, 6 ს. სამოქალაქო, 1.

მეუღლე ქეთო შვილებით, დედა ნინო, და მათიკო, სიძეები დ. ხვედაგურიძე, შ. ხუნდაძე, მ. ნონეშაშვილი იუწყებიან **მარკოზ ილიას-ძე მანველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IX, 7 ს. გამოსვენება 10/IX, 2 ს. პროექტის, 5.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 21,800

უე 08098